ისტორია-პროპაგანდის ინსტრუმენტი

კონცეფცია

თავისი ბუნებიდან გამომდინარე ისტორია იშვიათად თუ ყოფილა თავისუფალი ობიექტური თუ სუბიექტური ზეგავლენისაგან. ხელისუფლება, როგორც წესი, აკონტროლებდა მემატიანეთა ნაწერსა და ნააზრევს და რაკი დამკვეთი თავად იყო, ფაქტებისა და მოვლენების ასახვაც მისთვის მისაღები და სასურველი უნდა ყოფილიყო. ისტორიის ფალსიფიკაცია, მისი შელამაზება და მმართველი რეჟიმის იდეოლოგიით ინტერპრეტაცია ძველი დროიდანვე საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ეს ასე იყო ყველა ქვეყანაში, რადგან თითქმის ყველა ხელისუფლება ესწრაფოდა, შეექმნა წარსულის მისთვის ხელსაყრელი ვერსია.

ახალი დატვირთვა და განსხვავებული ფუნქციები ისტორიას დაეკისრა ტოტალიტარულ და დიქტატორულ რეჟიმებში. მას მოცემული რეჟიმის ლეგიტიმაცია დაევალა. პარალელურად, პოლიტიკური სისტემის ერთგული, მორჩილი და კონფორმისტი ადამიანების ფორმირებაზეც უნდა ეზრუნა და მასები მმართველი ძალის მხარდასაჭერადაც განეწყო.

ისტორიის გაყალბება პროპაგანდის ერთ-ერთი გვრცელებული მეთოდია, რა დროსაც დაინტერესებული მხარე, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ისტორიული ფაქტების უარყოფას და წარსულის რევიზიას ახდენს. ამ მიზნით ისტორიული დოკუმენტების, სტატისტიკის, წყაროების გაყალბება, ხოლო არასანდო წყაროების ლეგიტიმურად წარმოჩენა ხდება. ისტორიით მანიპულირება მეტწილად პოლიტიკურ მიზნებს ისახავს: საზოგადოების მობილიზებას, მტრის ხატის შექმნას, მოწინააღმდეგის დემონიზებას, ძლიერების ილუზიის შექმნას. აკადემიურ სივრცეში ამ მეთოდს "რევიზიონიზმს" უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი „პროპაგანდა" მე-16 საუკუნემდე იშვიათად თუ შეგხვდებათ, ამბავი იმისა, თუ როგორ ავრცელებენ ინფორმაციას საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებზე ზეგავლენის მოსახდენად, ჯერ კიდევ ხამურაბის კანონების დროინდელია. სწორედ ხამურაბის კანონების პოპულარიზაციისათვის უკვე არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც უხსნიდნენ სხვა ადამიანებს, რომ კანონი იმისათვისაა, რათა გაათანაბროს ყველა ადამიანი და ერთნაირად მოეკითხოთ დანაშაულისათვის.

ინფორმაცია რომ მძლავრი იარაღი იყო, ამას ჩინელი მხედართმთავარი და მსოფლიოში, ალბათ ყველაზე ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი სუნ-ძიც კარგად აცნობიერებდა და მის მიერ შემუშავებულ ტრაქტატში, „საბრძოლო ხელოვნება", განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საინფორმაციო ზეგავლენის უპირატესობების აღწერას.

პროპაგანდამ, როგორც ნეგატიური დამოკიდებულების აღმნიშვნელმა ტერმინმა, თავის დამკვიდრება მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. პროპაგანდისტული ბრძოლა ევროპის კონტინენტზე ჯერ პირველი, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომის დროს გაჩაღდა და მას შემდეგ, ალბათ არც შეჩერებულა. პროპაგანდის აღზევების პერიოდად მაინც მეორე მსოფლიო ომი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როცა ნაციზმის ხელში ინფორმაცია ტოტალური კონტროლის იარაღად

გადაიქცა და საბოლოოდ დამკვიდრდა აღქმა, რომ პროპაგანდა ბოროტების, სიცრუის, სიბნელისა და უკეთურების გავრცელებაა. თუმცა, ამავე პერიოდში იწყება ახალი გზების ძიება პროპაგანდის დასამარცხებლად. თავიდან კონტრპროპაგანდით – რაც იდეაში პროპაგანდის მეთოდების გამოყენებით საწინააღმდეგო აზრის ტირაჟირებას ნიშნავდა. შემდეგ კი, უფრო ეფექტიანი ბრძოლის, ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ოპერაციების მექანიზმების განვითარებით.

საბჭოთა პერიოდში მოსახლეობას მონოტონურად უმეორებდნენ ერთსა და იმავე ყალბ ინფორმაციას და პროპაგანდისტული მანქანა ადამიანების გონებას საჭირო ინფორმაციით ავსებდა. საომარ პროპაგანდას აქვს ორი მიმართულება: მტრის ჯარი და მოსახლეობა და საკუთარი ჯარი და მოსახლეობა. აქაც პროპაგანდისტული სტილი ერთვება, რადგან საკუთარი მოსახლეობა უნდა დაარწმუნო იმაში, რაც მას სჭირდება. საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაზე ზემოქმედების მაგალითი იყო საბჭოთა სკოლებში ინფორმაცია ლენინზე... მაგალითად, ლენინის ბავშვობის პორტრეტი - ხუჭუჭთმიანი ბავშვის გამოსახულებით აჭრელებული წიგნები და მის შესახებ ლექსები და სიმღერები, პოეტების, მომღერლებისა და მხატვრების მიერ პროპაგანდისტული ფრონტის გაშლა საიმისოდ, რომ მოსახლეობაში დაემკვიდრებინათ აზრი, რომელიც სახელმწიფოს სჭირდებოდა.

რაც პოლიტიკა არსებობს, მუდმივად ყალიბდება ამგვარი კომუნიკაცია ხელისუფლებასა და სამიზნე აუდიტორიას შორის. პროპაგანდა არასოდეს გადმოიცემა კომპლექსური, რთული და ინტელექტუალური მესიჯებით. ის უნდა იყოს მარტივი, რომ ბევრი ადამიანის მოზიდვა შეძლოს და მუდმივად წერტილოვნად უნდა ურტყას სამიზნეს. განმეორებადობის, შეხსენების, ტვინის კონკრეტული უბნების მუდმივი დაბომბვის მიზანია, დაარწმუნოს ადამიანი, მაგალითად, აიღოს ხელში დროშა და გავიდეს ქუჩაში... მსოფლიოს პროპაგანდის ნათელი მაგალითების გახსენება შეიძლება მეოცე საუკუნიდანაც. ნაციზმის პირობებში ეს ყველაზე შოკის მომგვრელი იყო.

პროპაგანდის სქემაში ერთმანეთში უნდა იყოს აზელილი საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებები, რომლებშიც ადამიანი ეჭვს ვერ შეიტანს, მაგრამ ისე უნდა იყოს დალაგებული, რომ მთავარი გახდეს პროპაგანდისტული მესიჯები, რომლებიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს მესიჯები სანდოა. ეს მეთოდი ტროას ცხენის პრინციპით მოქმედებს: არსი სანდოა, მაგრამ ფორმა და შინაარსი პროპაგანდისტულია და თავის მიზანს აღწევს... შეიძლება, გამოააშკარავო სიყალბე, თუმცა პოსტფაქტუმ რეაგირება ისეთი ეფექტიანი არ არის, რადგან პროპაგანდის ჭურვმა უკვე მიაღწია აუდიტორიამდე და თავისი საქმე გააკეთა... როგორც წესი, ეძებენ აუდიტორიას, სადაც ანალიზის, აზროვნების უნარი და ცოდნის დონე დაბალია. ამიტომ განათლების დონის ამაღლება ის იარაღია, რომელიც დიდ პრობლემებს უქმნის მოწინააღმდეგეს.

რაც შეეხება ისტორიაზე დაფუძნებულ პროპაგანდას, ისტორია, ერთი შეხედვით, ჰუმანიტარული მეცნიერების რიგითი, ჩვეულებრივი დარგია, რომელიც მოწოდებულია შეიცნოს და შეისწავლოს წარსული, შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს მისი რეალობასთან მიახლოებული სურათი. მაგრამ, იმავდროულად, ისტორია მრისხანე იარაღია სახელმწიფოთა ხელში საკუთარი პოლიტიკური მიზნებისა და სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად, როდესაც იგი იდეოლოგიის როლს ასრულებს.

საბჭოთა ხანაში ისტრიას უნდა ეკისრა ძალაუფლების მპყრობელი პარტიისა თუ ბელადის წარსულის განდიდება და ხელისუფლებაზე მათი უპირობო უფლების არგუმენტირება. წარმოებდა წარსულის ინსტრუმენტალიზაცია კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისათვის, ისტორიულმა ცნობიერებამ სოციალური რეგულაციის ფუნქცია შეიძინა. ამგვარმა მიდგომამ

ისტორია პუბლიცისტიკად ან შიშველ პროპაგანდად, ხოლო ისტორიული ნარატივი კი აგიტაცია-პროპაგანდის საფუძვლად აქცია.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ ფართო გავრცელება ჰპოვეს ისტორიის განსხვავებულმა ვერსიებმა. გაჩნდა ფალსიფიცირებული და იდეოლოგიზირებული წარსულის მართებულად გააზრების შესაძლებლობა, მაგრამ ისტორიულმა ნარატივმა უფრო მეტად ეთნოისტორიის სახე შეიძინა. გამოიკვეთა საერთო წარსულის მიტაცების მცდელობა.

პროქტი - "ისტორიის სწავლების სახელმძღვანელო-მეთოდური რეკომენდაციები კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის", რომელიც ხორციელდება გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) და გერმანული კოერბერის ფონდის (Körber Stiftung) ეგიდითა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში, მიზნად ისახავს ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდის მაგალითების კრიტიკული კვლევას სკოლის სახელმძღვანელოებში, დამხმარე ლიტერატურაში, ისტორიის მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების პროგრამებში, სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას და ცვლილებების დანერგვას ისტორიის მასწავლებელთა მომზადების და გადამზადების სისტემაში.

საქართველოს მხრიდან პროექტის პარტნიორები არიან ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (GAHE) და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab).

History is a propaganda tool

concept

History, by its very nature, has rarely been free from objective or subjective influences. The government, as a rule, controlled the writings and thoughts of the chroniclers, and since the author was himself, the depiction of facts and events had to be acceptable and desirable to him. The falsification of history, its beautification and interpretation by the ideology of the ruling regime is a well-known story since ancient times. This was true in all countries, as almost all governments sought to create a version of the past that was favorable to them.

A new burden and different functions were assigned to history in totalitarian and dictatorial regimes. He was tasked with legitimizing the given regime. At the same time, he had to take care of the formation of loyal, obedient and conformist people of the political system and mobilize the masses to support the ruling power.

Falsification of history is one of the widespread methods of propaganda, during which the interested parties deny historical facts and revise the past to achieve political goals. For this purpose, historical documents, statistics, sources are falsified, while unreliable sources are presented as legitimate. Manipulation of history is mostly aimed at political goals: mobilizing the public, creating an image of the enemy, demonizing the opponent, creating an illusion of strength. In the academic space, this method is called "revisionism".

Although the term "propaganda" itself is rarely encountered before the 16th century, the story of how information is disseminated to influence certain groups of society goes back to the time of the laws of Hammurabi. It was to popularize the laws of Hammurabi that there were already people who explained to other people that the law was meant to equalize all people and to ask the same for crimes.

The fact that information was a powerful weapon was well understood by the Chinese general and probably the most famous military theorist in the world, Sun Tzu, and in his treatise, "Martial Art", he paid special attention to the description of the advantages of informational influence.

Propaganda, as a term denoting a negative attitude, began to establish itself in the first half of the 20th century. The propaganda battle on the European continent was first started during the First and then the Second World War and has probably not stopped since then. At least the Second World War can be considered as the period of the rise of propaganda, when in the hands of Nazism, information turned into a tool of total control, and the perception that propaganda was the spread of evil, lies, darkness and evil was finally established. However, at the same time, the search for new ways to defeat propaganda begins. At first, with counter-propaganda - which meant, in the idea, circulation of the opposite opinion using propaganda methods. And then, with the development of mechanisms of more effective combat, psychological and informational operations.

As for propaganda based on history, history, at first glance, is an ordinary, ordinary field of humanitarian science, which is called to know and study the past, to present a picture of it as close to reality as possible. But, at the same time, history is a fierce weapon in the hands of states to realize their own political goals and strategic interests when it plays the role of ideology.

In Soviet times, Istria had to bear the burden of glorifying the past of the ruling party or leader and arguing their unconditional right to power. Produced by the instrumentalization of the past for specific political purposes, historical consciousness acquired the function of social regulation. Such an approach turned history into journalistic or bare propaganda, and historical narrative into the basis of agitation-propaganda.

After the collapse of the Soviet empire, different versions of the story became widespread. An opportunity to properly understand the falsified and ideologized past emerged, but the historical narrative took on the form of ethnohistory. An attempt to capture the common past was revealed.

Prokt - "History teaching guide-methodological recommendations for the development of critical thinking", which is carried out with the support of the Institute for International Cooperation of the Association of German Public Universities (DVV International) and the German Körber Foundation (Körber Stiftung) and with the financial support of the Federal Ministry of Foreign Affairs of Germany in the countries of the Eastern Partnership: Moldova, In Georgia, Armenia, and Ukraine, it is aimed at a critical study of examples of history-based propaganda in school textbooks, supporting literature, history teacher training programs, developing appropriate recommendations and introducing changes in the history teacher training and retraining system.

Georgian Association of History Teachers (GAHE) and Soviet Past Research Laboratory (SovLab) are partners of the project on the Georgian side.